



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია შოთა მესხიას
ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს # 22 დადგენილებით
„ 24 „ „ აპრილი „ 2018 წელი

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:
პრაქტიკოსი ექთანი
09101**

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ზუგდიდი, ჯანაშიას #14 , სენაკი, მშვიდობის # 192.

ტელეფონი: 0 415 25 62 17

ვებ გვერდი : zssu.ge

ზუგდიდი
2018 წელი

- I. სახელწოდება: პრაქტიკოსი ექთანი
- II. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: 09101-3
- III. პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მეხუთე
- IV. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: პრაქტიკოსი ექთანის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
- V. საკანონმდებლო ბაზა:
- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“
 - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
 - პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული სტანდარტი
- VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
- VII. „მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“
- VIII. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს
- ა) ყველა სამედიცინო დაწესებულებაში:
- სტაციონარი
 - ამბულატორია
 - დიაგნოსტიკური ცენტრი
 - პირველადი ჯანდაცვის ობიექტები
 - რეაბილიტაციის ცენტრები
 - ესთეტიკური ცენტრები
 - გადაუდებელი დახმარების ცენტრები
 - სასწრაფო გადაუდებელი ცენტრები
- ბ) სხვადასხვა ინსტიტუციაში:
- ბინაზე მომსახურება/პატრონაჟი
 - პანსიონატები (ბავშვთა, მიუსაფართა, მოხუცთა სახლები)

- პალიატიური მზრუნველობის ცენტრები
- საგანმანათლებლო დაწესებულებები
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები
- კვების ობიექტები

გ) ჯანდაცვის ორგანიზაციაში

- ჯანდაცვის სამინისტრო
-

VIII. პროგრამის მიზანი:

მისცეს სტუდენტს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით შეასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს, საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებების, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.

IX. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- საექთნო პროცესის მართვა
- კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ჯანდაცვის გუნდთან
- ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღომისძიებების დაცვა
- სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება
- პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა

X. პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

მოცულობა:

- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 126 კრედიტი
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 156 კრედიტი - (დანართი 4-ქართული ენა A2-15 კრედიტი, ქართული ენა B1-15 კრედიტი)

სავარაუდო ხანგრძლივობა:

- ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 23 სასწავლო თვე/92 სასწავლო კვირა
- არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 28 სასწავლო თვე/112 სასწავლო კვირა

XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

სავალდებულო ზოგადიმოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი პროფესიული მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
1. ინფორმაციული წიგნიერება 2	3	6.გაცნობითი პრაქტიკა - პრაქტიკოსი ექთანი	2	30.ექთანი ანესთეზისტის საქმე	2
2.მეწარმეობა 3	3	7. საწარმოო პრაქტიკა - პრაქტიკოსი ექთანი	12	31.მუშაობის სპეციფიკა სამედიცინო ლაბორატორიებსა და დიაგნოსტიკის ცენტრებში	2
3. ინგლისური ენა	5	8.პრაქტიკული პროექტი - პრაქტიკოსი ექთანი	6	32.საოპერაციო ბლოკის ექთნის საქმე	2
		9.ავადმყოფის მოვლა	6	33. გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა	2
		10.გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	4		
		11.დერმატო-ვენეროლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	2		
		12.ენდოკრინული პაციენტის საექთნო მართვა	2		
		13.თავისა და კისრის პათოლოგიების მქონე პაციენტის საექთნო მართვა	2		
		14.თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	6		
		15. ინფექციის კონტროლი საექთნო საქმესი	4		

		16.ინფექციურიპაციენტისსა ექთნომართვა	4		
		17.კრიტიკულმდგომარეობა ში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა	6		
		18.ნევროლოგიური პაციენტის საექთნომართვა	4		
		19.ონკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა	3		
		20.პაციენტის ფიზიკური შეფასება	8		
		21.პედიატრიული პაციენტისსაექთნომართვა	5		
		22.პირველადი გადაუდებელი დახმარება	2		
		23.რეაბილიტაცია საექთნოსაქმეში	2		
		24.საექთნოპ როცესის მართვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა	4		
		25.საექთნო პროცედურები და მანიპულაციები	6		
		26.სამედიცინოტერმინოლო გიადადოკუმენტაციასაექთნ ოსაქმეში	2		
		27.ფარმაკოლოგიისსაფუძვ ლებისაექთნოსაქმეში	5		
		28.ფსიქიატრიულიპაციენტი სსაექთნომართვა	3		
		29.ქირურგიულიპაციენტისს აექთნომართვა	7		
	სულ:	სულ	107	სულ	8

XII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XIII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციას ანიჭებს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რაზეც რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველაზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 8 კრედიტი.

XIV. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-13 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

- დანართი 1 - სასწავლო გეგმა 1 და სასწავლო გეგმა 2
- დანართი 2 – პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი
- დანართი 3-- მოდულები
- დანართი 4- ქართული ენის მოდულები